საქართველოს სახელმწიფო ... ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 233
1877

ივერია

№ 233
1903

ნოემბერი 1, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 1, შაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაკრძალვა მისის უდროოდ გარდაცვალებულის ასულის

მართასი

დანიშნულია ორშაბათს, 3 ნოემბერს ამაღლების ეკლესიაში. ტფილისის სადგურიდან ცხედარს წამოასვენებენ იმავე დღეს, დილის 9 საათზე.

(2—1)

იოსებ დიმიტრის ძე ყანჩელი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე

დარია ბასილის ასული ყანჩელი

მიცვალებულს გამოასვენებენ 1 ნოემბერს სოფ. ახრისში, გორის მაზრაში.

(1—231—1)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი**, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული**.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიის მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: **Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.**

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

წარმოდგენა № 11. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 2 ნოემბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ივანიძე, ნ. დავითაშვილი, ა. გარგარეთელისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჯავახიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ე. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

4 ნოემბერს დანიშნულია გედევანოვის საბენეფისოდ „სეველიელი დალაქი“ და „დუელი“.

რეჟისორი **აკაკი.**

წარმოდგენა № 12. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

სამშაბათს 4 ნოემბერს 1903 წ.

გ. მ გედევანოვის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

სეველიელი დალაქი

კომედია 4 მოქმ. ბომარშესი, თარ. დ. ყიფიანისა.

II

დუელი

ხუმრობა 1 მოქმ. გად. კ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი; ბ-ნნი: ვ, აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე. გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 1 ნოემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი მოწყობილობითა და მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

ფრანჩესკო დე-რიმინი

ოპერა 5 სურ. 4 მოქმედებათ, მუს. ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას იღებენ: რენე-რადინა, კარრი, სელიუკი, სკორუბსკაია: ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, რჟანოვი, გრინევი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ნ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხვალ, კვირას, 2 ნოემბერს ორი წარმოდგენაა: დილით „ჟიზნ ზა ცარია“, მუსიკა გლინკასი; საღამოს: „კარმენ“, მუსიკა ბიზესი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ლ. მ. ბართოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. ქამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

ქალაქის გამგეობამ განიხილა სია იმ ახალგაზდა მთხოვნელთა, რომელთაც ტფილისის რეალურ სასწავლებელში გაუთავებიათ კურსი და მაღალ სასწავლებელში აპირობენ სწავლის განგრძობას, და დაუდგენია მიეცეს დახმარება ორს სტუდენტს: მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლისას ბ-ნ სარქისოვს და ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლისას— ბ-ნ რომანოვს.

კახეთის რკინის გზის საზოგადოებას, როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, უმაღლესად ნება-რთვა ებოძა შეუდგეს მუშაობას მომავალ 1904 წლის პირველ აპრილამდე და დაამთავროს გზა პირველ იანვრამდე 1906 წლისა.

მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორს უცნობებია გორის ქალაქის სამმართველოსათვის, რომ განთავისუფლდა ერთი ვაკანსია, ალექსანდრე ტერ-აკოფოვის სახელზე დაარსებული, და სთხოვს კანდიდატად ჩარიცხოს ერთ-ერთი მოსწავლეთაგანი. ამასთანავე დირექტორს გამოუგზავნია განცხადებანი იმ მშობლებისა, რომელნიც სტიპენდიასა თხოულობენ თავიანთ შვილებისათვის.

ტფილისის საბალოსნო სკოლას მთავრობისაგან ყოველ-წლიური დახმარება ეძლევა იმ პირობით, რომ სკოლაში ასწავლიდნენ შეგირდებს ღვინის დაყენებასაც და სამაგალითო მარანიც იყოს მოწყობილი. რადგან ეს პირობა სკოლამ ვერ შეასრულა, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამას წინად, როგორც მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, მოაგონა სკოლას თვისი პირობა და ერთის წლის ვადა მისცა შესასრულებლად. სკოლა ვერ ახერხებს პირობის ასრულებას, და ეხლა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მოხსენებას ამზადებს ამის გამო, რომელშიაც აღნიშნულია მიზეზები პირობის შეუსრულებლობისა და შუამდგომლობს სამინისტროს წინაშე, რომ არ მოესპოს სკოლას დახმარება—1,300 მანათი წელიწადში, რადგან ისედაც სკოლა ძალიან შევიწროებულია მატერიალურადაო.

ქალაქის გამგეობამ დაავალა კომისიას, რომელსაც ღარიბთათვის თავ-შესაფარები აბარია, ჩაი და პური აძლიოს ღარიბებს, რომელნიც თავ-შესაფარებში ღამეს ატარებენ.

სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის აგენტები, თანხმად ქალაქის გამგეობის განკარგულებისა, ამ ჟამად ამოწმებენ სასწორებსა და საწყაო ქურჭლებს, რომლებიც ქალაქის სავაჭროებში იხმარება.

დღეს დაიწყება კენჭის ამოღება ტფილისის სამაზრო სამხედრო საკრებულოში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსს მ. ა. კარპოვს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, პირველ ნოემბრიდან სხვა თანამდებობას აძლევენ.

ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ბელევიჩი პეტერბურგის გუბერნიაში ჩერეპოვეცკის საოსტატო ინსტიტუტის დირექტორად გადაუყვანიათ; ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად-კი ერევნის გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი ბოგოლიუბსკი დაუნიშნავთ.

ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწედ, როგორც „კავკაზი“ გადმოგვცემს, ჰნიშნავენ მე-9 ნაწილის ბოქაულს მანდრიკინს.

4 ნოემბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ინჟენერ-ტეხნოლოგის ხვოიცევისა, რომელსაც ერევნის გუბერნიაში მარილის მადნეებში ერთის მუშის ძალად დაპატიმრება და მაღაროში ჩასმა ჰბრალდება. მუშას მაღაროში თავი ჩამოუხრჩვია. ბრალდებულს ხვოიცევს პალატაში დაიცავს პეტერბურგელი ვექილი კარაბჩევსკი.

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ თიანეთის მაზრის სოფლის საზოგადოებას — სადრიანისა, თელათ-სოფლისა და ნაქალაქევისას სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხად მიეცეთ 1500 მანეთი თითოს. ამ ფულით სოფლებმა შენობანი უნდა ააგონ სასოფლო გამგეობისათვის. ვალი სამის წლის განმავლობაში უნდა გაისტუმრონ.

1899 წლის დამლევს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის ქალაქის საბჭომ მოინდომა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა. გამგეობა კიდეც შეუდგა სამზადისს და ამ დროს დახარჯა 68,701 მან. რადგან ფული 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ვერ შეიტანეს, საბჭომ დაადგინა 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში გადაეტანა. ქალაქის საქმეთა საკრებულომ ეს დადგენილება არ დაამტკიცა. საბჭომ საკრებულოს დადგენილება განასაჩივრა სენატში. გუშინ, 30 ოკდომბერს, გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სენატმა განიხილა საბჭოს საჩივარი, შეიწყნარა მოსაზრებანი ქალაქის საქმეთა საკრებულოსი და გააუქმა საბჭოს დადგენილებაო.

სამშაბათს, 28 ოკდომბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭომ, თ-დ

პ. ა. გრუზინსკის თავსმჯდომარეობით, განიხილა განცხადება საბჭოს წევრის ნ. ა. სულთან კრიმ-გირეისა, რომელიც თხოულობდა წევრის თანამდებობისაგან განთავისუფლებას. საბჭომ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს სულთან-კრიმ-გირეის იმ შრომა-მოღვაწეობისთვის, რომელიც იმან საზოგადოებას გაუწია საბჭოს წევრის თანამდებობის აღსრულების დროს. ამავე სხდომაზე საბჭომ საბაღოსნო სკოლის გამგედ აარჩია აგრონომი მედვედევი და დაადგინა, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საზოგადო კრებას.

ქ. გორში ამომრჩეველთა კრება დანიშნულია 25 ნოემბრისთვის· კრებამ უნდა აირჩიოს რწმუნებულნი ქალაქის საბჭოს შესადგენად ოთხის წლით (1903—1907).

ს. თიანეთში 285 კომლია და ს. ახმეტაში—312; დუქნები-კი ექვს-ექვსი ყოფილა. მაზრის უფროსს საჭიროდ უცვნია შეამციროს ამ დუქნების რიცხვი, რომ ხალხი თავისუფალ დროს დუქნებში არ ატარებდეს, და ამის გამო შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე მომავალ წელს ორ-ორ დუქანზე მეტი ნუღარ იქნება ამ სოფლებში.

ქ. დუშეთში 29 ოკდომბერს კენჭის ყრა იყო ახალ-გაზდა ჯარში გასაყვან ყმაწვილებისა. ფასანაურსა და ახალგორში კენჭის ყრა გათავებულა.

აქამომდე დუშეთის მიდამოში კარგი დარი იყო. ახლა-კი მოაწია ზამთრის პირმა და ცუდი ამინდებია: ცა მოღრუბლულია და ყოველ დღე წვიმა მოდის. ახლო კავკასიონის მთებზე ჩამოთოვა.

ახალი გაზეთი სპარსულ ენაზე რუსულ თარგმანით

مجموعهٔ ماورای خزر

„იმერ-კასპიის მხრის მიმოხილვა“ წელიწადი 1 № 1. «Закаспійское Обозрѣніе» годъ 1-й № 1. Редакторъ-Издатель К. В. Ѳедоровъ.

ასხაბადში, იმიერ-კასპიის მხრის უმთავრეს ქალაქში, გასულ ოკდომბრის ათს გამოვიდა პირველი ნომერი დასურათებულის გაზეთისა სპარსულ ენაზე რუსულის თარგმანით. ვამბობთ „გაზეთი სპარსულს ენაზე რუსული თარგმანით“ და არა „სპარსული გაზეთი რუსული თარგმანით“ იმიტომ, რომ ხსენებული ორგანო, როგორც, სხვათა შორის, გვაჩვენებს მისი რედაქტორ-გამომცემლის ფედოროვის ვინაობა, სპარსულია მხოლოდ შრიფტით, ისიც გაზეთის მარტო ორ-მესამედზე და არა სულითა და მიმართულებით.

გაზეთი გამოვა ჯერ-ჯერობით მასალის მოგროვებისდა-გვარად და შემდეგ, თუ გარემოებამ ხელი მოუმართა, კვირაში სამჯერ. პროგრამა გაზეთისა ვრცელია, საპოლიტიკო სამრეწველო სავაჭრო და ლიტერატურული. პირველი ნომრის სარედაქციო წერილი გვამცნევს, რომ გაზეთს საგნად ექნება გამოარკვიოს საჭირბოროტო საგნები ამიერ-კავ-კასიის, იმიერ-კასპიის და ჩრდილოეთ სპარსეთის მუსულმანების ცხოვრებისა და, გარდა ამისა ხელი შეუწყოს რუსეთისა და სპარსეთის ეკონომიურსა და კულტურულს დაახლოვებას.

ამ ორგანოს დაარსებისათვის ხელი გაუმართავს, რედაქციისავე სიტყვით, სამხედრო მინისტრს გენ.-ადიუტანტს ა. ნ. კუროპატკინს, თურქესტანის უფროსს გენ.-ლეიტ. ივანოვს და სხ.

ფორმატი გაზეთისა in 4—ა, შეიცავს 18 გვერდს საუცხოვო ქაღალდისას. სურათები სამაგალითოა, ბევრად უკეთესი მოსკოვის და პეტერბურგის გაზეთების ილიუსტრაციებზე. ჩინებულია აგრეთვე არაბული შრიფტი, რომლითაც დაბეჭდილია გაზეთის სპარსული ტექსტი. უნებლიეთ გაგახსენდებათ კავკაზოლოგის ბარონ უსლარის სიტყვები არაბულს ანბანზე, რომელსაც, ხელოვნების მხრივ, იგი უპირატესობას აძლევდა ყველა სხვა ხალხს ანბანებზე.

შინაარსი ამ ნომრისა მრავალ-მხრივია, პროგრამის ყოველ დარგს თითო პატარა სტატია მაინცა აქვს მიძღვნილი.

ავტორი სტატიისა „აუცილებელი საჭიროება რკინის-გზის გაყვანისა მეშედამდი“ ვიდაც ახუმოვი მოქარგულის ენით ურჩევს სპარსეთის მმართებლობას გაიყვანოს რკინის გზა შიათა წმიდა ქ. მეშედიდან იმიერ-კასპიის რკინის გზის რომელსამე სადგურამდი თუ სურს (!) თავის ქვეშევრდომთა გაბედნიერება ეკონომიურისა და კულტურულის წარმატებით

წერილი „მძლავრია თუ არა ოსმალეთი“ მიწასთან ასწორებს ოსმალეთს, სახავს მას ყოვლად უძლურ, თითქმის შავე გაცივებულ ლეშად, წინასწარმეტყველებს მისს სულ ახლო მომავალში ნაკუწ-ნაკუწად დაშლას და მათ ნიშნს უგებს იმათ, „რომელნიც ბოსფორიდან გავრცელებულ ჭორებს ერწმუნებიან და ოსმალეთი მძლავრი სახელმწიფო ჰგონიათ...

ერთი მონოგრაფია «ისტორიული მიმოხილვა რუსეთისა და სპარსეთის სავაჭრო განყოფილებისა», რომლის დასაწყისია მხოლოდ ამ ნომერში და ეკუთვნის თვით რედაქტორის კ. თედოროვის კალამს, საინტერესოა ჩვენთვისაც, ქართველებისთვის· ავტორი გზა და-გზა ეხება საქართველოსაც, როგორც პირველ ოფიციალ გაცნობის მიზეზს რუსეთისა და სპარსეთისას 1618 წელს. ამ წელს მოსკოვის მეფემ მიხეილ თეოდორეს ძემ რომ (პირველად) ელჩები გაუგზავნა შაჰ-აბაზს საქართველოს საქმეების გამო, ჩვენის მეფის თხოვნით, ეს ყველამ ვიცოდით. ვიცოდით აგრეთვე, რომ მეფე მიხეილი ჩვენთვის იწუხებდა თავს და ცდილობდა შაჰ-აბაზი აელაგმა და შეეჩერებინა მისი თავდასხმა ღვთის მშობლის წილ-ხვდომილ ქვეყანაზე.

ბ-ნის თედოროვის პირუთვნელ გამოკვლევით ვტყობულობთ, რომ სწორედ ამ პირველსავე ელჩობის დროს შაჰ-აბაზს თვითონ პირველს მიუცია წინადადება მიხეილისათვის გაეყოთ მთელი კავკასია. მოვსპოთ თავისუფლება იქაურ წვრილ-წვრილ სამთავროებისას, რომ რუსეთისა და ირანს შუა არ იყოს არც ერთი სხვისი სამფლობელოთ. გამომკვლევის აზრით, შაჰ-აბასს ამ პროექტის ასრულებით უნდოდა რუსეთთან უფრო მჭიდრო სავაჭრო და სამრეწველო კავშირი ჰქონოდა...

მარტო ჩვენებურ თაგვს არ სცოდნია კატის გამოთხრა.

თ. მაგმაძე.

სიტყვა მღ. დმ. ჯანაშვილისა დ. მაჩხანელის დასაფლავებაზედ.

ქართველნო, რად შეყრილხართ აქ? ნუ თუ გგონიათ, რომ დიმიტრი მაჩხანელი მოკვდაო; ის მაჩხანელი, რომელმაც ძლიერად გაჰკიცხა „ძმურ სიტყვა“-ში ქიზიყის ავი ზნე-ჩვეულება და ცრუმორწმუნეობა; რომელიც მხნედ, უშიშრად და მედგრად ებრძოდა ბოროტებას, არ დასტოვა არც კარგი, არც ავი ქიზიყისა, რომ არ აღენიშნოს მწერლობაში. განა ეს მამულიშვილი მოკვდა!? არა. იგი არ მომკვდარა. სიკვდილი ორ გვარია. ზოგი კაცი მოკვდება თუ არა, მაშინვე დავიწყებულ იქმნება, როგორც ცოდვილი, როგორც ქვეყნისთვის უსარგებლო კაცი, ხოლო ვისაც უშრომნია სიცოცხლეში ქვეყნის კეთილდღეობისათვის, იგი კაცი დაუვიწყარია ერისათვის. „კეთილის მოქმედნი აღდგებიან მკვდრეთით ცხოვრებად, ხოლო ბოროტის მოქმედნი სასჯელად“. დიმიტრი ეკუთვნის სამშობლო ქვეყნის კეთილ მოღვაწეთ. იგი არ კი მოკვდა, არამედ „გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად“. იგი თავ-დადებული იყო სამშობლო ქვეყნისათვის. ასეთნი კაცნი უკვდავნი არიან ხალხის მეხსიერებაში.

მკვდარი არის ის კაცი, ვინც არაფერს აკეთებს: ზის და სჭამს სხვის მონაგარს და ამბობს: „მე თუ არ ვიქნები, თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო“. მკვდარი ის არის, ვინც მშიერ მგელივით აქეთ-იქით იცქირება და ჰპარავს თავის მეზობელს: ხარს, კამეჩს, ცხვარს, ქათამს, ბატს და სხვ., და ამ ხელობით უწყვეტავს მოყვასს ლუკმა-პურს, არღვევს მის ოჯახის კეთილ ცხოვრებას, და თუ დაჩაგრულმა უჩივლა, სახლ-კარსა და საბზელსაც უწვავს, რომ შიმშილით საქონელიც ამოუწყვიტოს. ვინც არ ქურდობს, შრომობს, იგებს ფულს, იმას კიდევ შინ არ მოაქვს მონაგარი, შედის დუქანში და იქა ჰფლანგავს ნაშრომნადაგს მთვრალობაში. მრავალი არიან ამისთანა მავნე კაცნი ქიზიყში და აი ესენი ბრძანდებიან მკვდარნი და არა დიმიტრი მაჩხანელი. იგი იყო კეთილი მუშაკი ქვეყნისა, იგი იყო მშრომელი დაუღალავი, გულ შემატკივარი ობლებისა და დავრდომილთა. ამისათვის იგი ღირსია ხსოვნისა და ღირსია ძეგლისა, რომ დაუვიწყარი იყოს მისი სამარე. ცოდვილს კაცს საფლავის ქვაც არ ესაჭიროება, რომ მალე დავიწყებული შეიქმნას იგი ერისაგან. სამწუხაროდ ჩვენდა, ცოდვილნი სიკვდილამდე იმზადებენ ქვას და ზედ აწერენ: „წამკითხველნო, შენდობა მითხარითო“. საწყალმა, რად გაიხადა საქმე ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც იხვეწება—მაპატივეთ დანაშაულიო. დიმიტრი მაჩხანელს არა აქვს-რა საბოდიშო. მართალია, დიმიტრისაც ფეხი წაუბორძიკდა ცხოვრებაში, მაგრამ ვინაა ქვეყანაზე უცოდველი? ამ ბორძიკშიაც მრავალთა სხვათაც წილი უძევთ. ქვეყნის გამგებელს თუ ჭკუიანნი მოხელენი არ ახვევიან გარშემო, რა გინდ დიდი ჭკუის პატრონი იყოს და კეთილის მოსურნე, მარტოდ ვერ მისწვდება თავის საწადელს. მაგრამ დიმიტრის იმოდენა სიკეთე მიუძღვის, რომ ღირსია, ძმანო, თქვენის ცხარე ცრემლისა. ხოლო თქვენი ცრემლი მის სულისათვის არის მალამო,— მირონია, გუნდრუკია, საკმეველია, რომელიც წინაშე უფლისა აღვალს და „სუნნად სუნნელად მიუძღვის ზეცისა საკურთხეველში“ მის სულსა. სამართალი მოითხოვს ვსთქვათ, რომ მის სულის საცხონებლად არც ცრემლია საჭირო. დიმიტრიმ თითონვე შესძინა თავის სულს საუნჯე. მან დააარსა სოფ. ქვემო-მაჩხაანში სკოლა, თვის მიერ შეწირულს სახლში. ამ მის სკოლიდგან პაწაწა ქალებს შეაქვთ ოჯახში სხივი განათლებისა. როგორათაც ბნელი ღამე თენდება და დილით მზე ამოაშუქებს და მოჰფენს ხოლმე დედამიწას შუქსა და სინათლესა, სწორედ ასრე ნათელი სწავლისა და მეცნიერებისა შეაქვთ პაწაწინა ქართველებს მზე-დაბნელებულ საქართველოში. დიმიტრის სულის სახსენებლად ესეც საკმარისია. აი, ამისთანა კაცი ღირსია ქებისა, როცა იგი განვალს ამა სოფლიდგან. ღირსია რომ მის ძეგლზე ეწეროს: „სიკვდილო გესლიანო! მართალია, შენ მომკალ, მაგრამ სული ჩემი საქმეთა ჩემთაგან შეიქმნა უკვდავი; ხოლო შენ კი, ადამიანის მტერო, მოჰკვდები, ოდეს ქრისტეს მეორედ მოსვლა იქნება და ქვეყნიერება განქარდება“.

სვანეთში ორის კვირით

(შემდეგი *)

კვირიკე ივლიტეს მონასტერში უძვირფასესი განძია ჯვარცმა-აღდგომის ხატი. ორმა მონასტრის მცველმა მოწიწებით ამოიღეს დიდი სკივრიდან (საკურთხეველში სდგას მარცხნივ) ძველ ყალამქრის მშვენიერ ბოხჩაში მძიმედ გახვეული ხატი და ტრაპეზზედ დაასვენეს. „აი ამის ყარაულები ვართ, ბატონებო“, გვითხრეს თავაზიანად სვანებმა. ხატი ვერცხლის ბუდეში ზის; სიგრძე სიგანით 7×6 გოჯია და მთლად ოქროს ზოდისაა, მაგრამ ოქრო აქ სახსენებელი არ არის: ზედა პირზედ ჯვარცმაა გამოყვანილი, ჯვარის მაღლა ორსავ მხარეს ანგელოზებია გულ ხელ დაკრეფილნი; აქეთ-იქით—ღვთისმშობელი და იოანე მახარებელია. ჯვარზედ დამოკიდებულია იესო ქრისტე. ყველა ეს მხატვრობა უძვირფასესის მინანქრის ხელოვნებით ნაკეთებია; ყველა ფერადი გარს მოვლებულია ოქროს (მელნის) ხაზით. ხატის მეორე მხარეს აღდგომაა ამ გვარათვე გამოსახული მინანქრისაგან. (ჯვარცმა) წინაპირი აიხდება და ცარიელი ბუდეა ჯვარისა; თვით ჯვარი კი აღარ არის. შიგ ოციოდე მსხვილი მარცვალი მარჯნის კრიალოსანია და ერთი შუათანა ტანის სარდონიქსის ქვა. კუთხეებში პატარა უჯრებია ხუფებით. ამ უჯრებში პატარა ოქროს კოლოფებია, საუკეთესო ჭრელი კუთხედი მინანქრით ნაკეთებნი. მე ეჭვი არა მაქვს, რომ შუაგულს ჯვარის ბუდეში ოდესმე ძელი ჭეშმარიტი სცენებულა და კუთხის უჯრებში, პატარა კოლოფებში, წმიდათა ნაწილები.

ჯვარცმას აწერია ბერძნულად: № 45 „ГС ХС“. ღვთის მშობლის მაღლა ,,დედაკაცო აჰა ძე შენი‘‘. იოანე მახარებლის ზევით: ,,აჰა დედა შენი‘‘.

აღდგომის მაღლა ბერძნულადვე აწერია დაახლოვებით შემდეგი; № 46. „ბრწყინვალებითა შემოსილი ყოვლად საგალობელი და უდიდებულესითა ნათლითა გამაბრწყინებელი“, ძირს „აღდგომა“.

არის აქვე სხვა ოქროს ხატი მაცხოვრისა შემდეგის წარწერებით: № 47. „ქ. მაცხოვარო: და: ღმერთო: ჩვენო: და: უფალო: წმიდანო: (აქ შუაზე „თეოფილეს (თე̃ლს?) შეუნდვენ მაცხოვარო“).. სადიდებლად:... ჩემისა: შევამკე: ხატი: ესე: ცოტ(ნე)ს: ნივთითა: შემკობილი: სათხად: სულისა....“

ამავე საყდარში ტრაპეზზედ სვენებულა ოდესმე ტყავზედ ნაწერი დიდი ტანის ბერძნული სახარება. სახელოვანს სიძველეთა მოტრფიალე ლევაშოვს ხუთი თუმანი მიუცია 1869 წ. კალის საზოგადოებისათვის გირაოდ და იგი სახარება დროებით წაუღია პეტერბურგში. რამდენიმე წელიწადი გასულა და სახარების დაბრუნება ფიქრადაც არავის მოსვლიოდა. დაიწყეს კალელებმა ჩიჩინი—ჩვენი სალოცავი სახარება მოგვიტანეთო. ამიტომ კეთილშობილებით სავსე ლევან დადიშქელიანს ერთი განგაში აუტეხია სატახტო გაზეთებში. ამის გამო გაბრიელ ეპისკოპოსს მიუმართავს არზით დიდის მთავრის მ. ნ.; სახარება დაუბრუნებიათ და გაბრიელისთვის ჩაუბარებიათ. ეს სახარება უნახავს ადგილობრივ 1853 წ. ბართლომეის, შემდეგ 1870 წ. ივნისის 18 თარიღით ბროსსეს დაწვრილებით აუწერია იგი სახარება ფრანგულად და კალის საზოგადოების კვირიკე-ივლიტეს მონასტრის საკუთრებად იხსენიებს. სახარება შეწირული ყოფილა კორიდეთის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. ბერძნულ-ქართულ მინაწერებში მოხსენებულ არიან გრიგოლ, მიქელ, ერისთავთ-ერისთავი ბეშქენ და სხ. [1]).

საკურთხევლის თაღში მაცხოვარს გაშლილი სახარება უჭირავს XI საუკ. ასომთავრულით: „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა შევიდეს ბნელსა“. მთელი თაღი და კედლები წარჩინებულის ხელოვნებით არის მოხატული. მაცხოვარს აქეთ-იქით: ღვთის მშობელი, იოანე ნათლის მცემელი, პეტრე-პავლე, ნათლის ღება (იესო ქრისტე ტანით ჩაცმული სდგას წყალში)—შობა, ბზობა—ჯვარცმა და სხ. აქ ურიცხვი ხატი და ჯვარია დაცული. ბოლოს მცველებმა გვაჩვენეს მთელი კონა ძველის საომარი

---

*) იხილე „ივერია“ № 232.

[1]) იხ. წ.-კით. საზ. მუზეუმში ბროსსეს თხზულებათა შორის.

ფელეტონი

კაეშანი

ტყეს მივმართე, რადგან ბარად
ტანჯვის მეტი ვერრა ვპოვე;
სხვის ვარამი, მწუხარება,
ჩემს სევდაზედ გადავქსოვე.
აქ ფოთოლი ფოთოლსავე
ნაღვლიანად ჩაჰკონოდა
და ნიავი,—ნაზი, წყნარი,
ცელქი, ქურდი,—მიმოჰქროდა.
ოჰ, სად არის, სად ხარხარებს,
სად მღერს ბედნიერთა კრება...
ვაჰმე! ჩემი ვარსკვლავი-კი
ოდნავ ბჟუტავს, ნელ-ნელ ჰქრება.

—

ოჰ, მიყვარხარ, ბუნებაო,
ცის კალთაზედ როცა გძინავს;
ფიქრი, გრძნობა და ოცნება,
სამივ ერთად შენსკენ ჰფრინავს!..
ჩვენებრ ლაჩრად ქედს არა ჰხრი,
სხვა გვარია შენი ძალი:
ხან მეფე ხარ: გრგვინავ და ჰქუხ,
და ხან მორცხვი პატარძალი!..
შენ მოგანდობთ გულის პასუხს,
ნუ მოგვაკლებ მცირედს ლხენას;
შენ სიმებზედ ვამუსიკებთ
შეზღუდულ და გვემულ ენას.

—

ოდეს ჩვენი კაეშანი
არე-მარეს მოეფინოს;
უგრძნობელთა მოსალბობად
სისხლის ცრემლი დაგვედინოს
და მაინც კვლავ, ცავ, თუ ნახო,
შებრალება არსით არი,—
დაიჭექე, მოსწყდი ზეცას
და წაგრაგნე მთა და ბარი.
მას სიკვდილი შვებად უჩანს,
ვისც ტანჯვაში სული ხდება...
ბუნებაო, ნუ ალანთებ
უმნიშვნელოდ რაცა ჰქრება.

ბ. ახოსპირელი.

*
* *

ჩიტოვ, ჩიტუნიავ, დავნატრი
მე შენსა თავისუფლებას:
ხან მთაში ჰფრინავ, ხან მინდვრად
ეალერსები ბუნებას!..
როცა გსურს, საკენკს მიირთმევ,
როცა გსურს, დალევ ანკარას,
გინდა ხეს მოასკუპდები,
გსურს ფრთებს ჰკრავ ცისა კამარას!..
სადაც გსურს, ბუდეს იკეთებ,
შემდეგ შიგ ჩასდებ კვერცხებსო,
შენსა გემოზე ჰსჩეკ და ზრდი
იქვე პატარა ბარტყებსო!..
შენა ხარ შენი თავისა
ბატონი, ყმა და გამგეო;
ვერ შეგეხება ცუდათა
შენ ვერავისი ბაგეო!..
მე-კი... თუმც შენზედ მეტი ვარ,
შენს მეფის მეფედ ვითვლები,
რა გამოვიდა?.. ვირს შევსჯექ...
ბრიყვს ვეყმე, ვემორჩილები...
იმის ბრძანებით ვსვამ და ვსჭამ,
იმის ბრძანებით დავდივარ,
დღე და ღამ იმის კარზე ვარ,
ჩემს ოჯახს არას ვარგივარ!..
ნეტამც ან ამით ვიგებდე
განადირებულს მის გულსა...
ამ ქვეყნად ცოცხლებს მიგინებს,
იმ ქვეყნად მიცვალებულსა!..
მისგან ნაზარდნი შვილები
დამიძაბუნდნენ მხნეობით
და ლამის სულ მთლად გაირყვნენ,
წაჰხდნენ, დაეცნენ ზნეობით. .
აი ამისთვის, ჩიტუნავ,
აღარ მასვენებს გონება
და ჩამჩურჩულებს მუდამ მას -
მოიშორეო მონება...
ასე სჩიოდა ერთს დროსა
მონა ჩიტისა ნახვაზე
და კლდენი ცრემლით დნებოდნენ
ამისა გაგონებაზე.

პეტრე.

ჰეინედან.

გაგაფრენ შენა, ჩემო ძვირფასო,
ჩემის სიმღერის სუბუქ ფრთებითა
იქ, საც განგესი მორბის, ხმაურობს,
შემკული ტურფა მდელოებითა.
მუნ ბაღი მთვარით გაბრწყინვებული
ჰყვავის, – ჰგავს წალკოტს ედემისასა
და ლოტოსიცა სულ განაბული
ნატრობს ნახვასა თვისის დისასა.
პირ მოცინარნი ნაზნი იანი
ვარსკვლავთ შესტრფიან და შეჰხარიან
და ვარდებიცა სურნელოვანნი
ერთმანეთს ზღაპრებს ეუბნებიან;
ქუციკნი ლაღნი, ყურმახვილები,
ხტიან, ცელქობენ, დანავარდობენ;
წმინდა მდინარის ტალღა-ზვირთები
ლაჟვარდ სივრცეში ყრუდ ხმაურობენ.
იქ ბზის ჩრდილ ქვეშა ჩვენ წამოვწვებით,
მყუდრო ცხოვრება მარად გვექნება,
ტკბილის ალერსით, ჩვენ იქ დავტკბებით
და ნეტარებით დაგვეძინება.

ი. ბაქრაძე.

ყველა ძმები ვართ

(ნათარგმნი)

ვიშ! რა სანატრელს ბედნიერებას
ეღირსებოდა წუთი-სოფელი,
რომ მეზობელმა უთხრას მეზობელს:
„ორივ ძმები ვართ, მომეცი ხელი!“
რად არ შევადგენთ ერთს დიდს ოჯახსა
და მტრობა-შურის არ ვართ მდევნელი?!
მაშინ ეტყოდა ერთი-მეორეს:
„ორივ ძმები ვართ; მაშ მომეც ხელი!“
შენ გაქვს შეძლება, მდიდრულად იცვამ,
მე ღარიბი ვარ შეუწევნელი,
მაგრამ ორივეს სიკეთე გვიყვარს;
ორივ ძმები ვართ; მომეცი ხელი!
გძულს ღალატობა და სისაძაგლე
და სიმართლის ხარ მადმერთებელი;
მეც ვბაძავ შენსა სიტყვას და საქმეს;
ორივ ძმები ვართ; მაშ მომეც ხელი!
არვის ვატყუებთ; მიცემულ სიტყვის
ორივ მტკიცედ ვართ შემსრულებელი,
რასაც მე, შენც სთვლი ბედნიერებად...
ორივ ძმები ვართ; მომეცი ხელი!
შენც თავდადებით უყვარდი დედას,
მეც დედის ვიყავ ძე საყვარელი,
თუნდ აწ სხვა-და სხვა ხარისხი გვქონდეს,
მაინც ძმები ვართ; მაშ მომეც ხელი!
ორივე შევტრფით მზისა სინათლეს,
მხურვალედ გვიყვარს მხარე მშობელი,
ორივე ვიბრძვით არსებობისთვის;
მოდი, ძმები ვართ, მომეცი ხელი!
ორივეს გველის სიბერე ძლილი
და საშინელის სიკვდილის ცელი,
ორივე ჩავალთ ცივს სამარეში.
დიაღ, ძმები ვართ!!. მაშ მომეც ხელი!

ი. ჩ—ლი

არანის ლექსებიდან *)

აჰ, რამდენი დაღუპულან
მამულისთვის წინა დროში,
გულადები სიმხნით სავსე,
სულ ჭაბუკნი—მწარე ომში!
აჰ, რამდენი გაწყვეტილან
სიღარიბის ტვირთის გამო,
რომელთ სოფლის სიმდიდრესა
ოცნება ერჩიათ ამო!
რომელთ უცხო მხარეს სავსე
გამოსცალეს ჰირთ ფიალა,
რომელთ ღვაწლსა ერი ვერ სცნობს,
და სახელიც-კი გამქრალა!
მაგრამ ცოცხლობს, რომ უდგამდა
მათ სულს იგი იდეალი,
და მათ მკერდსვე რაცა ენთო
ძლიერ ცეცხლათ გრძნობის ალი!
ეს სულ ანდერძითა ერგო
სათნო—ქველნი ვინც არიან,
და სამშობლოს თუ დასჭირდა
ბრძოლისათვის მზად არიან!

თ. მაგმაძე

---

*) არანი უნგართა პოეტია. ეს ლექსი რუსულიდან არის ნათარგმნი.

ისრებისა. ისარი თოფის ზუმბის სიმსხოა, შინდის წნელისა, წმინდად გაფხეკილი, სიგრძით ერთი არშინის ოდენა, წვერზედ წამოცმული აქვს მწვეტი ორპირი რკინა, მახვილივით. თავში აქეთ-იქით ინდოურის ფრთის ჩაცლილი მსხვილი ბუმბული აქვს დიდის ოსტატობით დაკრული. თავზედ-კი ამოჭრილი აქვს ისე, რომ მშვილდის ლარი ჩაჯდეს შიგ. აქვე ვნახეთ საომარი ცულები ბრინჯაოსი და ფოლადისა. შუადღის უკან, იქნებოდა ასე ხუთი საათი, რომ გამოვეთხოვეთ მამა-პაპათა სალოცავის ალალ-მართალ მცველებს და ჩამოვეშვით თავქვე და იფარისაკენ გავსწიეთ.

მღ. პ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

ბათომი. ამას წინად ბათომის ქალაქის საბჭომ აირჩია სამი ხმოსანი, ბ-ნნი: გრ. ელიავა, სოზანოვი და პანასევიჩი, რომელთაც გამგეობასთან ერთად უნდა გადასწყვიტონ ბათუმის კანალიზაციის საქმე. აირჩია აგრეთვე რამდენიმე წევრი ბათუმის დედათა გიმნაზიის სამზრუნველოსი.

ქვემო - იმერეთი. ქვემო - იმერლებს ავიწყდებათ, რომ სკოლა იგივე ტაძარია. თუ ზნეობრივ ასპეტაკებს ტაძარი ხალხს, სკოლა იმავე დროს გონებრივადაც ავითარებს და ამაღლებს.—ტაძრების აშენებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ქვემო-იმერეთში; წელს ბლომად დავიარე ქვემო-იმერეთში სოფლები, და თითქმის ყველგან მოვკარი ყური ახალ ტაძრებზედ ბაასს.—ზოგიერთ ქვემო-იმერეთის სოფელს უკვე აუგია მშვენიერი, ვეებერთელა ტაძარი და დასჯდომიათ დიდი ფული. სადაც ჯერ არ აუგიათ, იქაც მონდომებული არიან სულ მოკლე ხანში ააგონ თავიანთ მეზობლების მსგავსი ტაძრები.

ფრიად სასურველია და სანატრელი, რომ ქვემო იმერლები ასეთსავე გულ-მოდგინებას გამოიჩენდნენ სკოლებისადმი, მასწავლებლებისადმი. სკოლას ბევრად ნაკლები დასჭირდება. თორემ რას ჰგავს ახლა, რომ ქვემო-იმერეთის სოფლებში ერთ რიგიან სკოლის შენობას ვერ შეხვდები. ზოგს არ უვარგა იატაკი, ზოგს კედლის ფიცრები ერთმანეთს თითო გოჯზედ ცილდება და ზამთრობით თავისუფლად დათარეშობს შიგ ქარი.—ხშირად მინახავს სოფლებში, თუ რა გვარად ცახცახებდნენ მასწავლებელი და მოსწავლენი სკოლაში მეცადინეობის დროს სიცივისაგან. აი რა მიამბო ერთმა მასწავლებელმა სოფლის ერთ სკოლაზედ, სადაც მასწავლებლად ყოფილა. „ქარის ამოვარდნა ჩემთვის მეხის დაცემა იყო, რადგანაც ჩემი სკოლის შენობა ისე იყო მოხრილი, როგორც ოთხმოცის წლის ბებერი და გამუდმებით იმის ფიქრში ვიყავი, აი წაიქცევა სკოლა და მასწავლებელს შეგვირდებიანათ გამსრესს-მეთქი; ჩვენს სკოლას გამუდმებით გასამაგრებებირჯგები ჰქონდა შეყენებული!“

ასეთია ქვემო - იმერეთის ზოგიერთი სკოლების შენობანი.

ჩვენის სკოლების მეტ ნაწილს არა აქვთ: სამოსწავლო სახელმძღვანელო ნივთები, არა აქვთ სამკითხველოები, საიდანაც შესაძლო იყოს მოსწავლეთათვის საკითხავ წიგნაკების დარიგება და მით ცოტათი გაღვიძება ახალგაზდა მოსწავლეთა თვით - ცნობიერებისა.

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სკოლები და მომეტებულ უნუგეშო, საზარელ მდგომარეობაში იმყოფება მათი გამგე-ხელმძღვანელი მასწავლებელი. მასწავლებელი იღებს თვეში ოცდახუთ მანეთს. ოცდახუთ მანეთით ისტუმრებს: სახელმწიფო ბეგარას, ამით იკვებავს თავს, ასაზრდოებს ცოლ-შვილს, ამით იმოსება, თვითონაც და ჰმოსავს ცოლ-შვილსაც. მასწავლებელს გაზეთი, წიგნები სჭირია, მაგრამ რით დაიბაროს?

როგორ ეპყრობიან ახლა სოფლის მამასახლისები და სოფლის მოხელენი მასწავლებელს? იმათ უნდათ მასწავლებლები მორჩილებაში იყოლიონ, ხშირად ჯამაგირს ექვს თვეში ერთხელ აძლევენ. თუ სიმართლე უთხარ მამასახლისს, მზად არის რაიმე ცილი დაგწამოს, ხალხში გაავრცელოს ცუდი ხმა შენზედ, და შესაძლოა მთავრობის წინაშე დაგაბეზღოს და იმისთანა რამ დაგწამოს, რაც ფიქრადაც არა გაქვს. ფრიად საჭიროა, აუცილებლად საჭიროა მასწავლებლებმა ან თვითონ იფიქრონ რამე შეერთებულის ძალით თავიანთთვის, ან საზოგადოებამ გაუწოდოს ხელი დახმარებისა.

ილია ბახტაძე.

რუსეთი

მიწად-მოქმედების მინისტრი თხოულობს **423,000** მან., რათა ეს ფული ეძლიოს იმ მოხელეთ, რომელნიც საჭირონი იქნებიან გადასახლებულთათვის მამულების მისაზომად.

— მოგილიოვის გუბერნიაში ამ ათს წელიწადს მხოლოდ ერთხელ მოუყვანია მამულებს ერთი ხუთად მეტი მოსავალი. დანარჩენს დროს მოსავალი მოდიოდა მხოლოდ ერთი სამად და ერთი ოთხად მეტი.

— ოდესის ერთ-ერთს კერძო სამკურნალოშია ამ ჟამად მძიმედ ავად გამხდარი სწავლული ქალი დოქტორი ზოოლოგიისა სოფია მიხეილის ასული პერეია სლავცევისა. სწავლული ქალი მეტის მეტს შრომასა და ჯაფას გაუხდია ასე მძიმედ ავად.

— მ.დ.კომისაროვმა, შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარემ, შესწირა **2,000** მან. სტუდენტთა სწავლის ფასის შესატანად.

უცხოეთი

ინგლისი. როგორც გაზ. „ბერლ ტაგებ.“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, ჩემბერლენს ბირმინჰამში სიტყვა წარმოუთქვამს, რასაც დიდძალი ხალხი დასწრებია, სხვათა შორის, რამდენიმე ათასი მარტო მუშა ყოფილა. ორატორს თითქმის იგივე საბუთები წამოუყენებია თავის პროექტის გასამართლებლად, რომელიც ადრევე ჰქონდა ნათქვამი. კრება დიდის აღტაცებით მიჰგებებია ჩემბერლენს.

კორესპონდენტი ყურადღებას აქცევს იმ გასაოცარ სისწრაფეს, რომლითაც ყოფილ ახალშენთა მინისტრის სიტყვა მოედო ლონდონელ გაზეთებს. იმ გაზეთებში, რომელიც საღამოობით გამოდის, ჩემბერლენის ნალაპარაკევი სიტყვა-სიტყვით იყო მოყვანილი იმ დღესვე: კორესპონდენტებს ელექტროფონის შემწეობით გადაეცათ რედაქციებისათვის ორატორის სიტყვა. ჩემბერლენის უკანასკნელი სიტყვები **10** საათ. **20** წ. გადასცეს ლონდონს, ხოლო **10** საათ. **32** წ. უკვე დაბეჭდილი იყო მთელი სიტყვა. დეპეშამ-კი მხოლოდ **11** საათ. **37** წ. გადასცა ლონდონს იგივე სიტყვაო.

ავსტრია-უნგრეთი. ნოემბრის 4-ს(ახ.სტ.) უნგრეთა ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა სტეფანე ტისსამ ზედა პალატაში დაასრულა თავისი საპროგრამო სიტყვა, რომელიც დეპუტატთა პალატაში დაიწყო, მაგრამ ოპოზიციამ აღარ აცალა დამთავრება. ორატორს ჯერ ტაშს უკრავდნენ, სანამ მომჭირნეობის შესახებ ლაპარაკობდა; მაგრამ, როცა სხვა საკითხებს შეეხო, ლიბერალთა დასიც-კი უკმაყოფილოდ დარჩა, რადგან ორატორს არ დაუსახელებია არც ერთი ლიბერალური პროექტი, რომელსაც იგინი მოელოდნენ. ოპოზიციამ განაცხადა,—ამ პროგრამის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია, რადგან სამხედრო საქმეებში დათმობას მარტო იმ შემთხვევაში გვპირდება, თუ ახალი სამხედრო პროექტი იქნება წარმოდგენილიო; ამასთანავე საარჩევნო ცვლილების შესახებ ერთი სიტყვაც არაა პროგრამაშიო. რაიცა შეეხება მოხელეთათვის ჯამაგირების მომატების კანონ-პროექტს, იმასაც-კი დროებით შეჩერებას უპირობენო.

ყველანი გააკვირვა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ტისსამ სახელმწიფო სკოლების წინააღმდეგ ილაპარაკა და საზოგადო სკოლებს მისცა მხარი. ამისათვის გრაფ ზიჩიმ, საერო კლერიკალთა დასის წინამძღოლმა, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა იქვე, დიდებულთა პალატაში.

როგორც ბუდაპეშტიდგან იუწყებიან, არამც თუ ოპოზიციის გაზეთობას, ლიბერალთა გაზეთების უმეტეს ნაწილსაც-კი მეტად შეზღუდულ და კონსერვატულ პროგრამად მიაჩნია გრაფ ტისსას გეგმა. გაზ. ,,პესტ. ლლოიდ.''-იც კი არაა კმაყოფილი ახალ მინისტრ-პრეზიდენტის პროგრამით.

კლერიკალები არა იშლიან თავის ობსტრუქციას. დეპუტატთა პალატაში კოშუტის მომხრეებთან მოლაპარაკება აქვს მთავრობას, რათა იგინიც არ მიემხრონ კლერიკალთა ობსტრუქციასაო.

სერბია. გაზ. ,,ბელგრად. ახ. ამბ''-ში მეტად საყურადღებო წერილია დასტამბული სათაურით: ,,პეტრე მეფე ტახტის უარყოფის წინ''. ამ წერილში ნათქვამია: ბელგრადში კარგა ხანია ლაპარაკობენ, ვითომ პეტრე მეფეს განზრახვა ჰქონდეს ხელი აიღოს ტახტზე და თავის ვაჟს გადასცესო. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელს სერბიაში, თუმცა დაბეჯითებით ჯერ არავინ იცის რამეო.

ბულგარია. ვენას ცნობა მიუღიათ სოლუნიდგან,—ადგილობრივ ბულგართა მოხელეებმა მიიკვლიეს დიდძალი ასაფეთქებელი მასალა, რომელიც შეერთებული იყო შორეულ ელექტრონის მანქანასთანაო.

მოსალოდნელ უბედურობის თავიდგან ასაცდენად მთავრობამ ნება დართო აღმოსავლეთის რკინის გზათა გამგეობას, მხოლოდ დღისით იყოს ხოლმე მატარებელთა მიმოსვლაო. ამ განკარგულების ძალით მატარებლებს უსკიუბში აჩერებენ ხოლმე ღამით და მხოლოდ დილით ისტუმრებენ სოლუნსაო.

ნარკვევი

„მოსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია წერილი „კუბანეცისა“ კავკასიის მთავარ-მართებლის დაჭრის შესახებ ამ სათაურით: „Факторы армянскаго сепаратизма“.

სომეხ ტერრორისტების განზრახვამ მთავარ-მართებლის მოკვლისამ, იმ ტერრორისტებისამ, რომელთაც უკვე მოჰკლეს არა ერთი და ორი მათთვის არა საამოვნო კაცი, აგრეთვე რამდენისამე ათასის სომხის დაუჯერებელმა თავხედობამ, რომელთაც გაჰბედეს ტფილისსა და კავკასიის სხვა ქალაქებში წინააღმდეგობა უმაღლესის ბრძანებისა,—აადელვა და ააშფოთა ბოლოს რუსეთის საზოგადო აზრი. დაიწყეს გაცხარებული მითქმა-მოთქმა, თან გამოკვლევაც იმის შესახებ, ეს რა ამბავია კავკასიაში. ვინ იცის, რას არ ამბობენ, რას არ ფიქრობენ, რანაირ უსაფუძვლოდ არ მსჯელობენ. ყველა ამით დამტკიცდა, რომ რუსეთში ნაკლებად იციან რამე რიგიანად სომეხთა საქმესა, რომელიც დიდი ხანია არა თუ მომწიფდა, არამედ გადამწიფდა კიდეც. ეს უცოდინარობა სომეხთა საქმეებისა რუსეთის საზოგადოებისა და მწერლობის მიერ კარგს სამსახურს უწევდა სომხურ პოლიტიკურ ინტრიგის ხელმძღვანელთ, რომელნიც დიდხანს გულმოდგინედ აბრმავებდნენ ყველას და არას აგებინებდნენ თავიანთი საქმეებისას და ამიტომ არ ჰზოგავდნენ არც ფულს, არც პირში მოფერებას და არც სხვაგვარ გარჯასა.

და აი ახლაც, როცა უმსგავსი მუწუკი სომხის სეპარატიზმისა გამოირწყო, უმეტეს შემთხვევაში სწორედ დიაგნოზი ვერ მოგვიხერხებია. ერთნი იძახიან, ყველაფრის მიზეზი კავკასიის ყაჩაღობააო, რაიცა მტკნარი სისულელეა, მეორენი უფრო უახლოვდებიან საქმეთა არსებას, და ყველაფერში სომეხთ სამღვდელოების ფანატიკოსობას სდებენ ბრალს. ეგ მართალია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეგ ფანატიკოსობა მხოლოდ ერთი ფაქტორია მთელის სისტემისა, ურომლისოდაც სომეხთ მოძრაობის არსებობაც-კი შეუძლებელი იქმნებოდა.

სომეხთ სამღვდელოებასა და კათოლიკოსს რომ ზურგს უკან მტკიცედ შეკავშირებულ სომეხთ მილიონერთა გაფიცვა ზღუდესავით არ ეგულებოდეს, ვერას დროს ვერ შესძლებდა, ასეთის თავხედობით და დაუსჯელობით რუსეთის მთავრობის ურჩობას ამდენის ხნის განმავლობაში თუ ფიცის მიღების საქმეში, თუ სკოლების გადმოცემაში და ბევრ სხვა საქმეშიაც. ვერ შესძლებდა, იმიტომ რომ ხალხი აღარას გაუგონებდა. ყველა. ვინც-კი იცნობს კავკასიას, დაგვეთანხმება, რომ სომეხი ხალხი არსებითად ფანატიკოსი არ არის სარწმუნოების მხრივ, რომ თავის ტერ-ტერებს დიდის ხნის განმავლობაში თითქმის მტრულად ეკიდებოდა მათის გარდამეტებულის ანგარებისათვის და თუ დაექვემდებარა ხელ-ახლად სამღვდელოების გავლენას, იმიტომ რომ დაინახა, სამღვდელოებას და მის პოლიტიკურ პროპაგანდას მფარველობას უწევს ცხადად თუ მალვით ერთი მუჭა მდიდართა, რომელთა ყოვლად შემძლეობა ბრმადა სწამს ხალხსა.

ავტორი ამბობს, სომეხ მდაბიო კაცს ჰგონია, რომ ჩვენის მილიონერისათვის შეუძლებელი არა არის-რაო, და შემდეგ განაგრძობს:

რასაკვირველია, აქ მარტო სომეხ პლუტოკრატების სურვილი არ იქნებოდა, არამედ სხვა უფრო კანონიერი საფუძველნიც ამისი, რისთვისაც სომხებს ხმას არ სცემდნენ აქამდე. შესაძლოა აქ, როგორც ამბობენ, საფინანსო უწყების მოსაზრებაც იყო. ეს უწყებაც მფარველობდა სომეხთ მდიდრებს და მიაჩნდა იგინი რადაც მიზეზით სასარგებლო ძალიან კავკასიაში. სომეხთათვის შუამდგომლობდა არა იშვიათად სამოსწავლო უწყებაც, რომელსაც ეპირვებოდა მათი შემოწირულებანი სკოლებისათვის. უმთავრესი ძალა-კი სომეხთ გაფიცულთა ის იყო, როგორც თვითონვე ამბობენ, რომ იმათ ექომაგებოდნენ სამეფო ქალაქის გავლენიანი სფეროს ზოგიერთნი წარმომადგენელნი იმ მოსაზრებით, რომელიც ყოველთვის ცხადი არ იყო ან გამოსააშკარავებლად მოუხერხებელი. აღარას ვიტყვი იმ გაზეთებზე, რომლებიც დიდის ხნის განმავლობაში გაცოფებით იბრძოდნენ სომეხთათვის და ამტკიცებდნენ, „ყოვლად მშვიდობიანი“ და „კულტურული ხალხია“ კავკასიაშიო. ახლა ამ ხალხმა, რომელიც დანებითა, რევოლვერებითა და სავეკლესიო შეწვენებით გამოვიდა კანონის წინააღმდეგ, ნამდვილად დაგვანახვა თავისი თავი.

შემდეგ „კუბანეცი“, აღნიშნავს რა რამდენისამე სიტყვით იმას, თუ რა გავლენა მოახდინა სომხებზედ ზოგიერთმა ღონისძიებამ, განაგრძობს:

ძნელია სათქმელად, რასაკვირველია, ვინ არის ამ ჟამად უმთავრესი მეთაური სომეხთა უმგვნო საქციელისა კავკასიაში: სამღვდელოება, მდიდარი პოლიტიკანები, თუ ბრბო, რომელსაც როგორც პირველნი, ისე მეორენი წინად მხოლოდ ეღამუნებოდნენ, თვალს უქნევდნენ, ხოლო ამ ჟამად-კი იმათ ტაშის კვრაზე თამაშობენ. აქ შესანიშნავი და საგულისხმო ის არის, რომ პირველი ნაბიჯი უკვე მტკიცედ გადადგმულია,—პირველად ამ, რამდენისამე წლის განმავლობაში: ფრიად სასარგებლო საშუალება, დაკანონებული უმაღლესის ნებითა, აღსრულებაში მოდის, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობას უწევენ იმათთვის, ვინც ჩემსავით ერთი ნაწილი ზაფხულისა გაატარა კავკასიის წყლებზედ და გაიგონა იქ „გავლენიან“ სომხების და მათ დამხმარე რუსების ლაპარაკი, რომ შეუძლებელია ასრულება უმაღლესის ნებისაო, რომ იგი უარყოფილი იქნებაო, ამასთანავე ის ხმები, ვითომ ვიღაც დიდი პირები ჰპირდებოდნენ შემწეობას ამ საქმეში, იმათთვის, ვინც გაიგონა ეს ნალაპარაკევი, მისახვედრია, თუ რა დიდ მნიშვნელოვანია ის, რაც მოხდა.

სამწუხაროა, რასაკვირველია, და გულსაკლავი, რომ სომეხთა ბრბოს გონზედ მოყვანამ უკვე მოითხოვა, და იქნება კიდევაც მოითხოვოს მსხვერპლი, მაგრამ ამ საქმეში მთლად პასუხი ედებათ უსვინდისო წამქეზებლებს. თუ ჩვენ არა გვსურს, რომ მეტი მსხვერპლი შევსწიროთ, შუა გზაზე არ უნდა შევჩერდეთ, არამედ მტკიცედ, კანონიერად, მძიმედ, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა კავკასიელ ერთა თვალში უნდა დავამციროთ შეერთებულის აგიტატორების პრესტიჟი და აღვადგინოთ მშვიდობიანის და ყველასათვის კეთილის მდომის რუსეთის მთავრობის პრესტიჟი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 30 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იყო აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. ეს პიესა მესამედ იყო (ერთხელ ავლაბრის თეატრში) წარმოდგენილი ამ სეზონში. უკანასკნელად-კი, როგორც აფიშებში იყო გამოცხადებული, ხალხის თხოვნით იყო გამოწვეული მისი წარმოდგენა, თუმცა თეატრში შედარებით ხალხი ნაკლები იყო.

თვით წარმოდგენამ ანსამბლით ვერ ჩაიარა. მშვენიერი ლექსთა-წყობა დრამისა საშინლად მახინჯდებოდა ზოგიერთ მსახიობის ხელში, რომელნიც თავისებურად აკეთებდნენ ლექსებს.

ერთად-ერთი სანუგეშო ამ წარმოდგენაში ის იყო, რომ ახლად სცენაზე შესულებმა ნ. დავითიშვილმა, გვარამიძემ და შალიკაშვილმა სიკმაო სასცენო ნიჭი გამოიჩინეს. ისინი იმ საღამოს გაცილებით სჯობდნენ ძველ მსახიობთ.

როლის უცოდინარობა ძრიელ ეტყობოდა კ. ყიფიანს, სვიმონიძეს, ჩერქეზიშვილისას, თუმცა უკანასკნელი არაფერში დანაშაული, რადგანაც მარტო იმ საღამოს გადასცეს თურმე იმას დედოფლის როლი.

ყურადღება უნდა მიექცეს, ჩემის აზრით, კიდევ იმ სცენებს, საცა ხალხი იღებს მონაწილეობას, მაგ. მუშების შემოსვლა და გელასთან ლაპარაკი. ამ სცენის დროს ყოველი მუშათაგანი სცდილობდა, რაც შეიძლება, სუფლიორთან ახლო დამდგარიყო, რადგანაც იმ ორიოდე სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა, რომელიც როლში ჰქონდა.

ხალხი, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ცოტა იყო თეატრში.

ქ. ყი—ნი

ბიბლიოგრაფია

Gli Armeni cattolici in Georgia el e questioni fia cattolici Armeni e Georgiani.

(შემდეგი *)

პასუხი მეორე მოხსენებისა.

ამ ნაწილში განმეორებულია პირველი ნაწილის მრავალი აზრი, მეტადრე ის აზრები, რომელიც შეეხება ტფილისის ეკკლესიის გასომხებას და კათოლიკეების გაქართველებას მღვდლების ჩაგონებით. ამისათვის პირველის პასუხი საკმაოა ამ ნაწილისათვისაც, მხოლოდ მოვუმატებთ აქ შემდეგს.

ავტორს ვერ მოუნელებია, რომ კონსტანტინეპოლში ნამყოფი ქართველი კათოლიკე მღვდლები, აქ სარწმუნოებაში თავიანთ თანამოძმეებს სულიერ სამსახურს უწევენ, რადგან ეს წინააღმდეგება ბატონ მეხითარისტების განზრახვას, რომელიც არის: ყველაფერი მათ ხელში გაიტარონ და ყველაფერი გაასომხონ. ამისთვის ამ მღვდლებს და მათ მონასტერს ყველანაირი უშვერის ეპიტეტებით ამკობს. ასედაც უნდა იყოს, რადგან მტრობით და შურით განძვინებულისაგან ამის მეტს კაცი სხვა არას უნდა მოელოდეს.

ხოლო ის გვიკვირს, რომ ბ-ნი ავტორი ამბობს, ერი ლათინის ტიბიკონზე გადაიყვანესო. ამ ქართველ ლათინის წესის მღვდლებმა განაგრძეს ის სულიერი მღვდელმოქმედება ლათინურ წესზედ, რომელსაც ასრულებდნენ უწინ კაპუცინები და პოლონელი მღვდლები; როგორც უწინ, ისე შემდგომ ამ ეკკლესიაში ერთად-ერთი ლათინური ტიბიკონი იყო და ტფილისში მყოფი ყველა ტომის კათოლიკენი ამ ტიბიკონს მისდევდნენ, ამ კათოლიკეებში თუ სომხებიც ერივნენ, ისინიც თავიანთ აქ მოსვლის დროდგანვე ლათინურ ტიბიკონს მისდევდნენ, გინაიდგან ესრეთია საყოველთაო ჩვეულება. ამის უტყუარი საბუთებია თვით იმავე ეკკლესიის წიგნები (მეტრიკები) სადაც აღწერილია დაბადება, ნათლიღება, ქორწილი და სიკვდილი მრევლთა, და რაიცა ერთპირად დადადებს ავტორის წინააღმდეგ. თუ 1878 წ. პრელატმა ორლოვსკიმ ლათინის წესის სხვა ეკკლესია ააშენა და თვითონ იქ გადავიდა, ამით ძველი ეკკლესია სრულებითაც არ დამცხრალა ლათინის წესის ეკკლესიებისაგან, არც იმისთვის, რომ ძველი ეკკლესია ახლად მობძანებული სომხებისათვის ეთავაზებინა; არამედ იმისთვის, რომ პოლონელები მეტად გამრავლდნენ ტფილისში და ძველ ეკკლესიაში აღარ ეტეოდნენ. შეიძლება სომხებს სურდათ და ორლოვსკისაც აზრად ჰქონდა ამ ეკკლესიის გასომხება, გარნა არ კმაროდა ამ ბატონების სურვილი და წადილი, არამედ მიუცილებლად უმაღლესი თანხმობა, რომის განკარგულება საჭირო იყო.

საჭირო იყო ბატონ ავტორს ეჩვენებინა სახელდობრ ის კათოლიკები, რომელნიც, მისის თქმით, გადაიყვანეს ლათინის ტიპიკონზედ, და რომლებიც ამ ხსენებულ ძველი ეკკლესიის წიგნებში (მეტრიკებში) აქამდენ შერაცხული იყვნენ სომხური ტიპიკონის მქონედ. ამისთანა ფაქტებზედ არ კმარა ცილის წამების დამყარება, არამედ საჭიროა საბუთების წარმოდგენა.

მსგავსი ცილის წამება და სიცრუეა, რომ ბ. ავტორი გვაბრალებს ეკკლესიაში სომხების ყოველი კვალი მოსპეს ბარბაროსულადაო. მეტად გასაოცებელია! რა სომხობის კვალი უნდა იყოს იმ ეკკლესიაში, რომელიც თავის არსებიდანვე მუდამ ლათინის წესისა ყოფილა? მართალია, კედელზედ გრიგოლ განმანათლებელი დახატული იყო, მაგრამ განა ეს უეჭველად სომხობის კვალს ნიშნავს? ეს რომ ასე ყოფილიყო, იმასთან მყოფი სილიბისტრე პაპის ხატიც მოსპეს, რადგან ეკკლესიის გოტიკური ახალი მოწყობილობა აღარ მოითხოვდა ესრეთ მხატვრობას; მაშინ ერთი და იგივე ლოგიკის ძალით უნდა ვსთქვათ, რომ პაპის ხატის მოსპობით, ეგრეთვე ლათინური ტიპიკონის კვალიც მოსპეს?! ბ. ავტორი თურმე ასე უკუღმართად სჯის ყველასფერს. ჩვენ-კი არა ვსპობთ ბარბაროსულად სომხობის კვალს ლათინის ეკკლესიაში, საცა ამის მსგავსი რაიმე არასდროს არ არსებულა, არა-

---

*) იხ. «ივერია» № 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ თვით ბ. ავტორი და მისი დამქაშები არიან ამნაირი ბარბაროსობის ჩამდენი, რომ ძველ ყველა ქართულ ტაძრებში, სადა-კი ხელი მიუწვდებათ, ყველგან სპობენ ქართულ კვალს და წარწერებს და მათ ადგილს სომხურს აკრავენ. ამის წინააღმდეგ მთელ საქართველოსთან ერთად თვით იგოდენი დამახინჯებული ქვანიც ღაღადებენ.

აქედგანვე სჩანს ერთვე სიცრუეც, რომელსაც ბ. ავტორი ამბობს: გალათინებული მღვდლები სომხური ლიტურგიის წინააღმდეგ ყოველ უწესობას ჩადიანო. ამას რომ ეთქვა, ლათინური ტიპიკონის წინააღმდეგო, მაშინ შეიძლება როგორმე დასაჯერებელი ყოფილიყო. ვერ მიმხვდარვართ, როგორ მოიქცევიან სომხური ლიტურგიის წინააღმდეგ, როდესაც ეს მათი ტიპიკონი არ არის, და ამ ტიპიკონთან მათ არავითარი საქმე აქვსთ? ხოლო ნამდვილი-კი ის არის, რომ თვით ეს მოჩივარი, ცილის მწამებელი ავტორი იქცევა თავისი ტიპიკონის წინააღმდეგ, რის აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კმარა ვთქვათ, რომ თავის ქეიფზად როგორც უნდა, ისე იქცევა ამ ტიპიკონის შესახებ. ნაცვლად ამისა, რომ წმიდად დაიცვას ყველა ის წესები, რაიცა კათოლიკე ეკკლესიას მიუღია და დაუმტკიცებია, გრიგორიან სომხებს ებაძება და მღვდელ მოქმედებაში შემოაქვს მათი წესები, რომლებიც კათოლიკე ეკკლესიისგან შეწუნარებულნი არიან.

რაოდნათაც ცრუა, ეგოდნად უმეცარი, როცა ამბობს: გაქართველებულმა მისიონერებმა რომ დააჯერეს, გალათინებული სომხების საშუალებით ადვილად შეიძლება კათოლიკობის გავრცელება მართლმადიდებელ ქართველებშიო! ეს ბატონი არა მარტო ჩვენ, არამედ თვით რომსაც ჰკრავს უმეცრად. ერთი რამე ყველასთვის ცხადი, განა ის რომმაც არ უნდა იცოდეს? ვინ არ იცის, რომ მართლა რუსეთის იმპერიაში სასტიკად აკრძალულია მართლმადიდებლების გაკათოლიკება? ამისთანა გარემოებაში ფიქრადაც წარმოსადგენი არ არის ქართველების გაკათოლიკება. რომისა და ქართველი პატრების ზრუნვა და ცდა მხოლოდ იმაშია, რომ კათოლიკებს შეუსრონ და მათში დაიცვან კათოლიკური სარწმუნოება. ამნაირი წინადადების გამოგონებით ეს ბატონი ამტკიცებს მხოლოდ თავის ღრმა უმეცრობას. ბ-ნი ავტორი ამასაც წინანდელ მოხსენებასავით აბოლოვებს რომისადმი რჩევის მიცემით, ამნაირად: თუ მართლა უნდა კათოლიკობის გავრცელება კავკასიაში, დაუბრუნოს ტფილისის ეკკლესია სომხებს და დაუნიშნოს მათ საკუთარი სომეხი ეპისკოპოსი. მამა ნაჰაპეტიანის აზრით, სომხების გაძლიერება კათოლიკობის გაძლიერება ყოფილა თურმე! გარნა ნუ დაივიწყებს, რომმა თავისი დასაჭერი საქმისა თვითონ კარგად იცის, და ამისთანა ცრუ და მოჩვენებული მოციქულის რჩევას ყურადღებას არ მიაქცევს.

მღვ. მიხელ თამარაშვილი.

(დასასრული ხვალ)

სასამართლოს მატიანე

ტფილისის სამოსამართლო პალატამ 30 ოკდომბერს გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის ს. რუხის მცხოვრებ ნატალია ხობელიასი, 18 წლისა და იმავე სოფელში მცხოვრებ აზნაურ ყარამან ზახუბაიასი, რომელთაც ჰბრალდებოდათ: პირველს მუცლის გაცუდება, ხოლო მეორეს წაქეზება და ხელის შეწყობა. საქმის გარემოება ესე ყოფილა: 1898 წლის დეკემბერში ზახუბაიას შეუცდენია გასათხოვარი იშვიათის სილამაზის ქალი ნატალია ხობელია შემდეგ 1899 წელს სხვა ქალი შეურთავს. ცოდოს დასაფარავად ზახუბაიას ურჩევია გულდამწვარ ქალისათვის მუცელი გაიცუდეო და წაუყვანია ტყეში ვიღაც ბებერთან, რომელსაც მუცლის გასაცუდებელი წამალი მიუცია. როდესაც ეს გარემოება გამომჟღავნდა, ზახუბაიას განუცხადებია, ნატალია ხობელიასი გარყვნილი ქალია და მე ტყუილა მდებს ბრალსაო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ორივე ბრალდებული დამნაშავედ უცვნია და შესაფერი სასჯელი მიუსაჯავს. სასამართლო პალატაში ზახუბაიას იცავდა ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი, ნატალია ხობელიას — ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი. პალატამაც ორთავენი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ზახუბაიას პატიმართა რაზმში გაგზავნა $2^1/_2$ წლით, ღირსების ახდით. ნატალია ხობელაას შესახებ-კი პალატამ დაადგინა იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა მოწყალება მოიღოს და სასჯელი შეუმციროს.

„ივერიის“ ფოსტა

ფ—თს ბიჭ. ლ—ძეს. თქვენი წერილი დაიბეჭდება. გამოგვიგზავნეთ მხოლოდ თვით წიგნი.

ბ—ი.—ონ ლიძეს. ვსწუხვართ, რომ თქვენმა წერილმა დაიგვიანა და მხოლოდ ბოლო გამოვიყენეთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ოკდომბერი

პორტ-არტური. კანონერკა „ბობრის“ 26 ნავოსანს დაეცა სამასამდე იაპონელი მუშა, სხვა-და-სხვა ნაირად შეიარაღებული. რუსები ცალიერის ხელით იგერებდნენ, იაპონელები უკუაქციეს და მოასწრეს გემზე ასვლა. მაგრამ აქაც იაპონელებმა ქვა დაუშინეს; ბევრი დაიჭრა. იაპონელებს ეგონათ რავდენიმე რუსი ნავოსანი ჩემულპოში დარჩაო და ხმლებითა და ცულებით შეცვივდნენ ევროპიელთა უბანში, რუსებს ეძებდნენ, სადგომებსა ჰჩხრეკდნენ და ალყას არტყავდნენ. კონსულებმა მეორე დღეს გამოძიება მოახდინეს. იაპონელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს თავის მთავრობის მოხელეებს. კარგად შეიარაღებულნი ზღვის პირას მიდი-მოდიოდნენ და რუსებს ემუქრებოდნენ. ამ შემთხვევის გასარჩევად და წესიერების დასაცველად ჩემულპოსაკენ გაიგზავნა ჯავშნიანი გემი „პოლტავა“ ნალმიანის ნავებით.

პარიჟი. თავად ურუსოვის გადაყვანის გამო ამ ცოტას ხანში ყველა გამოჩენილი გაზეთები მწუხარებას აცხადებენ, რომ საფრანგეთსა სტოვებს ცნობილი დიპლომატი, რომელმაც დიდად ხელი შეუწყო ორთა კავშირს. გაზეთები ქებით იხსენიებენ აგრეთვე ახალ ელჩს ნელიდოვს, იგონებენ იმის მუდმივ თანაგრძნობას საფრანგეთისადმი და დიდად აფასებენ იმის გამოცდილებას.

ნიუ-იორკი. ტეხასში გაჩნდა ყვითელი ციება.

ბერლინი. ქარაშოტის გამო, იმპერატორი სასეირნოდ აღარ გამოსულა. ჭრილობა რიგიანად ურჩება; თავს კარგად გრძნობს.

ტრიესტი. რუსეთის ესკადრა წუხელის აქედგან წავიდა.

სიმლა. მთელ ჯარს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო იონგჰეზბენდის ექსპედიციაში ტიბეტისაკენ, ბრძანება გაეგზავნა 14 დღეში სიკკიმს შეიკრიბეთო.

კიევი. ბალპერინმა შესწირა 50,000 სანატორიისათვის სახლის ასაგებად და ნათელ-ელექტრონის სამკურნალოს მოსაწყობად; მათ შესანახად 2,000 მანათს დაჰპირდა ყოველ წელს.

კრონშტადტი. კრონშტადტსა და ბიორკეს შორის დაიწვა ორთქლმავალი გემი „რობერტი“. შვიდივე ნავოსანი, სულ ცოლშვილიანი კაცები, დაირჩვნენ. გემი დაზღვეული არა ყოფილა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ გამორკვეულა.

31 ოკდომბერი.

ბელგრადი. ის ცნობა, ვითომც ინგლისის მისიამ არ მიიღო სერბიის მართებლობის მილოცვა ინგლისის მეფის დაბადების დღეს, მოგონილია; სერბიის მართებლობას განზრახვაც არა ჰქონია მიულოცოს ინგლისის მეფეს, რადგან წარმომადგენელი არა ჰყავს ინგლისში.—მეფე პეტრემ გაუგზავნა მეფე ედუარდს მისალოცი დეპეშა და დაუყოვნებლივ პასუხიც მიიღო, რომელშიაც მეფე ედუარდი მადლობას უთვლიდა თავაზიან ყურადღებისათვის.

სოფია. გავრცელებული ხმა, ვითომც პეტროვის კაბინეტი სამსახურიდგან გამოდის მართალი არ არის.

რომი. პაპმა კარდინალის კუნკულა უბოძა აიუტის, პავლიანს, კერტალერს, მერრი დელვალიუს და კალეგარის.

სოფია. მართებლობა ბევრს სიკეთეს მოელის მაკედონიისათვის, რომელსაც ეხლა ხოსთქარი კეთილის თვალით უყურებს. გაზეთი «პრეტორეცი» საყურადღებო ცნობებსა ჰბეჭდავს იმის გამო, ვითომც შეთქმულობა ყოფილა მთავრის წინააღმდეგო. სოფიის ეხლანდელ პრეფექტს ბასმარჯიევს განგებ გაუმართავს ტყუილი შეთქმულობა, თავისს სახელზე უსახელო წერილები გამოუგზავნინებია და მთავრისათვის უცნობებია, რომ ნდობა დაიმსახუროს და პრეფექტის ადგილი დაიმკვიდროს, რაც მოახერხა კიდეც. ბრალდებულთა შორის მინისტრებად ნაშეოთვნი ცანკოვის მომხრეებიც არიან. «პრეპორეცი» ამბობს, კიდევ ბევრს რამეს გამოვამჟღავნებთო.

პეტერბურგი. „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ პეტერბურგიდგან მოსკოვისაკენ მიმავალ მატარებელზე ფოსტის ვაგონს ცეცხლი წაჰკიდებია ღამე 28 ოკდომბერს და არა 27-ს.

ხელმწიფა იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის ბრძანებით, წითელ-ჯვრის უმთავრესი გამგეობა ხელის-მოწერასა მართავს თავისს ხელქვეით უოველ დაწესებულებაში მაკედონიის გაჭირვებულ მცხოვრებთათვის, რომლებიც დაზარალდნენ არეულობის დროს. შემოწირულობას გამგეობა გაუგზავნის რუსეთის კონსულებს მაკედონიაში, რომ გაჭირებულ ხალხს გაუნაწილონ.

პეტერბურგის ბირჟა 28 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში "	46,30
პარიჟში "	$37,62^1/_2$
ბირჟის დისკონტი.	$5—6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^5/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ.	462 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	347 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$290^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91^4/_8$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზე და ილგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 "
ქალაქიდგან ავლაბარში	40 "
ნავთლუღში	50 "
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 "
ნათლუღიდგან ქალაქს	40
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 "
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 "
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. "
კრწანისის ბაღამდე	80 "
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 "
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 "	8 კ.
3 "	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 " (ბარძაყი)	10 კ.
3 " (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 "	$3^1/_2$ კ.
3 "	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 "	10 "
3 "	5 "

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსად ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 "	4 " 80 "

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიული სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები გრიპითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითით ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-და-დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდობრინი“ მ. ვ. ლეპეშკის

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანა. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—22)

Дозв. цензурою, Тифлисъ, 31 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-риг. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჯიუშიძე, გამომცემელი ა. ხარაზიშვილი.